აუტისტური სპექტრის აშლილობა და მისი კავშირი ამ დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობელთა ემოციურ ინტელექტზე

შორენა სუხიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ბევრი კვლევაა ჩატარებული აუტისტური სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე პირების სხვადასხვა მახასიათებლების (დარღვევის ხარისხი, ასაკი, სქესი და ა.შ) გავლენაზე ოჯახსა თუ მშობლებზე, თუმცა მცირე მათგანი თუ იკვლევს ამ ფაქტორების სავარაუდო კავშირსზოგადად მშობელთა ემოციურ ინტელექტთან.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ეხება ემოციური ინტელექტის თავისებურებების კვლევას აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებთან. კონკრეტული თემით დაინტერესება გამოწვეულია აუტიზმის გავრცელების სიხშირის დრამატული ზრდით. ამ მდგომარეობის ერთერთი ძირითადი პრობლემა, ხომ სწორედ ემოციების ექსპრესია, სხვისი ემოციების,აზრებისა თუ გრძნობების წვდომის სირთულეშია.სწორედ ამიტომ ძალიან საინტერესოა, რამდენად ვლინდება მსგავსი ტიპის სირთულეები მათ მშობლებთან, რა დამოკიდებულებაა ბავშვის დარღვევის სიმძიმეს, მშობლის ემოციური ინტელექტის (ემოციების აღქმა, რეგულირება, მართვა) მაჩვენებელსა და სხვისი აზრებისა თუ გრძნობების წვდომის უნარს შორის, რადგან ამ სფეროში კომპეტენცია ჩარევის ეფექტურ სტრატეგიებთან ერთად მთავარი პირობაა ბავშვის ეფექტური დახმარებისა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ცვლადებს შორის დამოკიდებულებების პოვნა. ესენია: ანკეტურიმონაცემები (მშობლის ასაკი,სქესი,მშობლის განათლება, ბავშვების რაოდენობა,მატერიალური პრობლემის ხარისხი, პრობლემური ბავშვის ასაკი), ბავშვის ფუნქციონირების დონე (მაღალი, დაბალი) და მშობლის ემოციურიინტელექტის მაჩვენებლები.

საძიებო სიტყვები: *ემოციური ინტელექტი, აუტისტური სპექტრის აშლილობა,გრძნობებისა და აზრების წვდომა.*